ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის
ოქმი N5

დაბა ქედა 12 ოქტომბერი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 03:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 03:20 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა მერაბ ნაკაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი;
ამირან წულუკიძე - კომისიის წევრი;
მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი;

სხდომას არ ესწრებოდა:

გოჩა ჟღენტი - კომისიის წევრი;
ჯიმშერ სამნიძე -კომისიის წევრი;
გოჩა გორგილაძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდა:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ციური ზაქარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

12.10.2023 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ჯიმშერ სამნიძე	კომისიის წევრი	
3	მამუკა გოგოლიშვილი	კომისიის წევრი	
4	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის წევრი	
6	გოჩა გორგილაძე	კომისიის წევრი	
7	გოჩა ჟღენტი	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის-წესრიგი:

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირ განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, ვადით, სარგებლობის უფლებით შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარე - მერაბ ნაკაშიძემ კომისიის წევრებს გააცნო ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირ განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, ვადით, სარგებლობის უფლებით შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტი (განცხადების ნომერი 12-95232854-95, განცხადების თარიღი 12.10.2023).

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით დასახელებული ქონება (ექსკავატორ-დამტვირთველი, სატრ.საშ. საიდენტიფიკაციო ნომერი CMI888APH3HDA0095) უნდა გადაეცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, 10 (ათი) წლის ვადით, თხოვების ფორმით შპს „ქედის კომუნალურსერვის"-ს.

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 4
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირ განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, ვადით, სარგებლობის უფლებით შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 03:20 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **მერაბ ნაკაშიძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **ციური ზაქარაძე**
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში